



მოქალაქის გზამკვლევი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024
წლის ბიუჯეტი და 2024-2027 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

სარჩევი

შესავალი

ტერმინთა განმარტება

საბიუჯეტო პროცესი

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

შესავალი

მუნიციპალიტეტის განვითარების დოკუმენტები (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, სამოქმედო გეგმები, პრიორიტეტების დოკუმენტი, ბიუჯეტი, პოლიტიკის დოკუმენტები) უნდა იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ამასთან დაგეგმვის პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობა. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.

ადგილობრივი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ მუნიციპალიტეტში დაგეგმვა ხდებოდეს ქვემოდან ზემოთ მიდგომით და მოქალაქეთა ინიციატივებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხდებოდეს ბიუჯეტის შემუშავება.

თქვენ, მოქალაქეებს, უფლება გაქვთ, გქონდეთ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შესახებ, იცოდეთ, როგორ იხარჯება თქვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან შეგროვილი საჯარო ფინანსები და გათვალისწინებულია თუ არა თქვენი საჭიროებები ბიუჯეტში. იმისათვის, რომ შეძლოთ საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, მომავალი წლის ბიუჯეტზე როდის იწყება მუშაობა და რა ფორმით შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება თქვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში.

მოქალაქე ჩართული უნდა იყოს



!!! თქვენ გაქვთ უფლება:

- ჩაერთოთ თქვენს დასახლებულ პუნქტში საჭიროებათა გამოვლენაში;
- ჩაერთოთ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ სხვადასხვა გამოკითხვებში;
- დაესწროთ პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ შეხვედრებს;
- თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით მოამზადოთ პეტიცია და თანამოაზრეებთან ერთად შეიტანოთ საკრებულოში;

- წერილობითი ან ზეპირი ინიციატივით მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოითხოვოთ ბიუჯეტში თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება;
- გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს;
- მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის საჯარო განხილვებში და შეკითხვით მიმართოთ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს;
- დაესწროთ ბიუჯეტის განხილვის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიებში;
- მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან;
- გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;
- დაესწროთ მერისა და საკრებულოს დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებას.

წინამდებარე გზამკვლევი მომზადდა იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლოთ საბიუჯეტო პროცესებში აქტიური ჩართვა, გქონდეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ. გზამკვლევი მოცემულია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და 2024-2027 წლების პრიორიტეტები, ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკების სახით, რათა ბიუჯეტი უფრო გასაგები გახდეს.

ტერმინთა განმარტება

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

დაზუსტებული ბიუჯეტი – კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პრიორიტეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;

პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

პროფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე;

დეფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.


საბიუჯეტო პროცესი

- ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან;
- მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
- თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.


მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე იწყება. მაგალითად, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მომზადებაზე მერიამ მუშაობა 2023 წლის 1 მარტს დაიწყო, ხოლო 2023 წლის 15 ნოემბერს საკრებულოში წარადგინა.

იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლოთ საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია თუ როდის იწყება პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მუნიციპალიტეტში ვინ არის პასუხისმგებელი ბიუჯეტზე და რა დროს შეგიძლიათ ჩაერთოთ ამ პროცესში.

ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ქვემოთ კი მოცემულ გრაფიკში კი წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპების თანმიმდევრობა.



ბიუჯეტების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს და სამივე ფაზაში თქვენი, როგორც მოქალაქის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ. კერძოდ,

<p>ბიუჯეტის პროექტის მომზადება</p> <p>1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე</p>	<ul style="list-style-type: none"> • თქვენს დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ მერიისა და საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება • ინიციატივების დაყენება • პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა • დისკუსიებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრებზე დასწრება
<p>ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონაწილეობა და მერიისთვის რეკომენდაციების მიწოდება • საკრებულოს კომიტეტების სხდომაზე დასწრება • საკრებულოს სხდომაზე დასწრება
<p>ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება</p> <p>1 იანვრიდან</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ საკრებულოში განხილვებში მონაწილეობა; • მერის მიერ წლიური ანგარიშის წადგენაში მონაწილეობა და შეკითხვების დასმა;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი/ვადა		აქტივობა
მარტი	1 მარტი	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.
	1 მარტი	მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები

	1 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე.
	1 მარტი - 5 მარტი	მერის სამართლებრივი აქტი რომელის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, წარდგენის ვადები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
აპრილი	5 აპრილი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 აპრილი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 აპრილი - 30 აპრილი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	30 აპრილი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
ივნისი	1 ივნისი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).
ივლისი	1 ივლისი	პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და შიდა საბიუჯეტო კალენდრის შესახებ (სადაც განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა) გამოცემული სამართლებრივი აქტი და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.
	5 ივლისი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.


	20 ივლისი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ივლისი - 30 ივლისი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	30 ივლისი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
აგვისტო	5 აგვისტო	საფინანსო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.
	5 აგვისტო	ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, ეგზავნებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს და ისინი იწყებენ მუშაობას განაცხადის ფორმებზე
	5 აგვისტო - 15 აგვისტო	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე. .
	20 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები შეესებულ განაცხადის ფორმებს (შესაძლებელია იყოს ასახული გენდერული ასპექტები) დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარუდგენენ საფინანსო სამსახურს
	25 აგვისტო	საფინანსო სამსახური, იხილავს წარმოდგენილი განაცხადის ფორმებს და ამზადებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	1 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას
სექტემბერი	15 სექტემბერი	საფინანსო სამსახური საშუალოვადიან სამოქმედო გეგმისა და შეესებულ საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს (მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემაში).
ოქტომბერი	1 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით.

	5 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	5 ოქტომბერი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ოქტომბერი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	25 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური (შესაძლებელია მომსახურების შესყიდვა) ამზადებს მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევს
	31 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
	15 ნოემბერი	თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგენს საკრებულოს.
ნოემბერი	5 ნოემბერი	საკრებულოსათვის წარდგენილ ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებას საჯარო განხილვისთვის და ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევის დარიგებას დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამსახური.
	15 ნოემბერი	თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
	15 ნოემბერი - 19 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი რომელიც მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
	25 ნოემბერი	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
დეკემბერი	10 დეკემბერი	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
	31 დეკემბერი	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს

		გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
იანვარი	4 იანვარი	ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა საფინანსო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.
იანვარი	5 იანვარი	საფინანსო ორგანო გასული წლებისა და სხვა საჭირო მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
თებერვალი	15 თებერვალი - 20 თებერვალი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 თებერვალი - 25 თებერვალი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
მარტი	25 თებერვალი - 1 მარტი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	1 მარტი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.


15 ნოემბერს საკრებულოში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარედგინება:

- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და

შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);

❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (2021 და 2022 წლები), ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2024-2027 წლები) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე. პრიორიტეტის დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.



❖ ბიუჯეტის სტრუქტურა


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2024 წლის ბიუჯეტში არის ინფორმაცია 2022 და 2023 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

დასახელება	2022 წლის ფაქტი *	2023 წლის გეგმა *	2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან * გამოყოფილი ტრანსფერები
* შენიშვნა	* როდესაც წერია ფაქტი - ეს ნიშნავს, რომ საკრებულოს უკვე დამტკიცებული აქვს ბიუჯეტის შესრულება - 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება დამტკიცდა 2024 წლის 1 მაისამდე	2023 წლის ბიუჯეტთან ჯერ გეგმა წერია, რადგან წელი არ დასრულებულა. ფაქტი დაიწერება მას შემდეგ, რაც 2024 წლის 1 მაისამდე საკრებულო დაამტკიცებს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებას			სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგი ფონდებიდან გამოიყოფა ტრანსფერები მუნიციპალიტეტისთვის: - რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი; - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; - მთის ფონდი; - მთავრობის სარეზერვო ფონდი;


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემდეგი თავებისგან შედგება:



ბიუჯეტის პირველი თავი (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები) შედგება შემდეგი მუხლებისგან:




ბიუჯეტის მეორე თავში - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები მოცემულია ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ.



აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში მოცემული პრიორიტეტებს, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს აქვთ თავისი კოდები, რომელსაც პროგრამული კოდი ჰქვია. პრიორიტეტების კოდი 4 ციფრიანია და ბოლო ორი ციფრი არის 00, ხოლო პროგრამის კოდი ასევე 4-ციფრიანია და ბოლოში კი 01, 02 ან 03 კოდით სრულდება, ქვეპროგრამის კოდი კი 6 ციფრიანია და პროგრამის კოდს ემატება კიდევ ორი ციფრი.

მაგალითად



ბიუჯეტის მე-2 თავში მოცემულია პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები, ხოლო მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) კი მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

მაგალითად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-2 თავში გზების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი.

კოდი 02 01 02	ქვეპროგრამის დასახელება	გზების კაპიტალური შეკეთება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 400,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 	
	შუალედური შედეგი (OUTPUT)	მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.	

ხოლო პროგრამული ბიუჯეტის დანართში კი ინდიკატორები წარმოდგენილია შემდეგი სახით.

შეფასების ინდიკატორები							
ინდიკატორის აღწერა	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	ცდომილება	განმარტება
გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება	16049	16500	17200	17450	17500	10%	

გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია							
ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	23150	24000	24500	25000	25200	10%	


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385-ის (2011 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი) მიხედვით.

წლიური ბიუჯეტის მე-3 თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ (ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადახდის განხორციელების უზღუდამოსილება). ეს ინფორმაცია მოცემულია გასლი, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024 წლისთვის

❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს **ბიუჯეტის შემოსულობებს** წარმოადგენს.



!!! რას გულისხმობს ეს ტერმინები:

ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

- ❖ **შემოსავლები:** გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- ❖ **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)
- ✓ არაწარმოებული აქტივები (მიწა)

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მიწას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

- ❖ **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება. კერძოდ, ფინანსური აქტივებია:
 - ✓ ვალუტა და დეპოზიტები
 - ✓ სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)
 - ✓ აქციები და სხვა კაპიტალი


მაგალითად, როდესაც მუნიციპალიტეტს სხვაზე გასესხებული თანხა უკან უბრუნდება, ან წინა წელს დარჩენილი ნაშთის გამოყენებას გეგმას, ამ დროს ფინანსური აქტივი აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოდის.

- ❖ **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს. კერძოდ, ვალდებულებებია:
 - საგარეო ვალი
 - საშინაო ვალი

მუნიციპალიტეტს შეუძლია საქართველოს მთავრობის ნებართვით აიღოს სესხი. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების(ნაშთის ჩათვლით) პროგნოზი 2024 წლისათვის 25 269 050 ლარია. აქედან: შემოსავლებიდან შემოდის 22 272 850 ლარი, ნაშთი 2 996 200 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან ბიუჯეტში მოხდება 2023 წელს დარჩენილი ნაშთისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვა, ასევე შეიძლება გაიზარდოს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები და სხვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს დაზუსტებული ბიუჯეტი ჰქვია.


ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2024 წელი



■ შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყარო შემოსავლებია, რომელიც გადასახადებისგან, გრანტებისგან და სხვა შემოსავლებისგან შედგება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წელს საგადასახადო შემოსავლებიდან 20 373 900 ლარის მობილიზება იგეგმება (მთელი შემოსავლების 92.7%), გრანტებიდან - 353 950 ლარის (მთელი შემოსავლების 1.6%), ხოლო სხვა შემოსავლებიდან - 1 245 000 ლარის (მთელი შემოსავლების 5.7%).

ქვემოთ მოცემულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის შემოსავლების გრაფიკული სურათი.



➤ გადასახადები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-4 მუხლში მოცემულია ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების შესახებ.

მუნიციპალიტეტის გადასახადები შედგება:

- ❖ ადგილობრივი გადასახადისგან, როგორც არის ქონების გადასახადი. 2024 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქონების გადასახადიდან 2 350 000 ლარის მობილიზებაა დაგეგმილი. ამ თანხას იხდიან როგორც იურიდიული და ისე ფიზიკური პირები.



- ❖ **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** - 2024 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტისთვის დღგ-დან მისაღები გადასახადი 18 023 900 ლარით არის განსაზღვრული.

2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დღგ-დან 19 პროცენტი ნაწილდება მუნიციპალიტეტებს შორის. გადანაწილება შემდეგი წესის მიხედვით ხდება:

- ✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის - 60%;
- ✓ 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის - 15%;
- ✓ 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის - 10%;
- ✓ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით - 10%;
- ✓ მუნიციპალიტეტის ფართობის - 5%;

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება თანხის მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის. 2024 წელს მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 733 069 ათასი ლარის (დღგ-ის 19%) ოდენობით. ლაგოდების მუნიციპალიტეტი ამ თანხის 1,04%-ს, ანუ 18 023 900 ლარს იღებს.

➤ გრანტები

ბიუჯეტის მე-5 მუხლში მოცემულია ინფორმაცია გრანტების (ტრანსფერების) შესახებ. მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს, ასევე მათ შეუძლიათ გრანტი მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

სულ მუნიციპალიტეტი 3 სახის ტრანსფერს იღებს:

- ✓ **მიზნობრივი ტრანსფერი** - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;
- ✓ **კაპიტალური ტრანსფერი** - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;
- ✓ **სპეციალური ტრანსფერი** - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

ლაგოდების მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 2024 წელს მიზნობრივი ტრანსფერს იღებს, რომლის მოცულობაც 250 900 ლარია. აღნიშნული ტრანსფერი გამოიყოფა შემდეგი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად:

- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 227 700 ლარი;
- „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4000 ლარი.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 19 200 ლარი.

2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე გამოიყოფა კაპიტალური ტრანსფერი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წელს აისახება.


➤ სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის მე-6 მუხლში მოცემულია ინფორმაცია სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების შესახებ.

!!! რას მოიცავს სხვა შემოსავლები:

- **შემოსავლები საკუთრებიდან:** პროცენტი (კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი, გასესხებული თანხიდან მიღებული პროცენტი); რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან);
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:** ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავლები მომსახურების გაწევიდან);
- **ჯარიმები, სანქციები და საურავები:** მათ შორის პატრულის მიერ დაწერილი ჯარიმები;
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** - ისეთი სახის შემოსავლები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ შედის;


2024 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 1 245 000 ლარს შეადგენს, რომელიც გრაფიკულად ასე გამოიყურება.



საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიიდან სანებართვო მოსაკრებლებიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 20 000 ლარის შემოსვლა იგეგმება, ხოლო დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან კი - 300 000 ლარის.

❖ მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა ბიუჯეტის გადასახდელებს წარმოადგენს.



!!! რას გულისხმობს ეს ტერმინები:

- ❖ **ხარჯები:** ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება;

როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.

- ❖ **ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას. ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება;
- ❖ **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.


ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელებისთვის 25 269 050 ლარია განსაზღვრული, აქედან 17 806 500 ლარი ხარჯებია, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 7 378 150 ლარი, რაც მთელი გადასახდელების 29.6%-ია, ასევე 74 400 ლარი წინა წლებში აღებული ვალის მომსახურებისთვის არის გათვალისწინებული. კერძოდ, ეს თანხა 2017 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას მოხმარდება.

ასევე, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის 10,0 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულია გადასახდელების გრაფიკული სურათი.

გადასახდელები - 25269.1ლარი 2024წელი

ათასი ლარი



■ ხარჯები


მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით #99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები:

- ✓ შრომის ანაზღაურება: მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასები, პრემია-დანამატი, კომპენსაცია;
- ✓ საქონელი და მომსახურება: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკა - (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვა); საოფისე ავეჯი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯები; კავშირგაბმულობის ხარჯები; საფოსტო მომსახურების ხარჯები; კომუნალური ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები (საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეული ხარჯები); ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; მიმდინარე რემონტი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა.

- ✓ პროცენტი: მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის მომსახურების პროცენტი საგარეო და საშინაო ვალდებულებებზე;
- ✓ სუბსიდიები: სუბსიდიები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისთვის მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს;
- ✓ გრანტი: გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს. მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ებისთვის;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა: სოციალური დახმარება; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება;
- ✓ სხვა ხარჯები: სარეზერვო ფონდი, სხვადასხვა სახის დახმარებები, მაგ. სტუდენტთან ფინანსური მხარდაჭერა და სხვა.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 14 839 200 ლარს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ სურათში წარმოდგენილია ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების პროცენტული გადანაწილება.



- ✓ აღსანიშნავია, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან **გრანტის** სახით 170 ათასი ლარია გამოყოფილი კახეთის რეგიონული ა(ა)იპებისთვის „კახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“ და ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველები მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო“;
- ✓ **სხვა ხარჯებში** კი გათვალისწინებულია: სარეზერვო ფონდი; საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები; სტუდენტების დახმარება; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; ქირით უზრუნველყოფა და სხვა.


■ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-9 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია დარგების მიხედვით (ფუნქციონალურ ჭრილში) რა ხარჯები იქნება გაწეული და რა თანხა დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება: (აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები);
- ✓ თავდაცვა: წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა: საავტომობილო ტრანსპორტი და გზები;
- ✓ გარემოს დაცვა: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა: წყალმომარაგება; გარე განათება; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება;
- დასვენება, კულტურა და რელიგია: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;
- ✓ განათლება: სკოლამდელი აღზრდა;
- ✓ სოციალური დაცვა: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები; დევნილი და უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდისთვის ერთად 25 269 050 ლარია განსაზღვრული.



❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი პრიორიტეტები.




ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით 2024-2027 წლებში პრიორიტეტულ მიმართულებებზე გათვალისწინებულია შემდეგი თანხები:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,192.5	5,028.4	5,705.4	6,085.2	6,498.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	19,757.8	9,623.3	6,740.4	7,077.9	7,573.8
03 00	გარემოს დაცვა	2,622.6	2,105.7	2,150.0	2,260.0	2,330.0
04 00	განათლება	4,863.9	4,798.2	5,251.5	5,701.5	6,201.5

05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2,207.0	2,133.1	2,067.0	2,162.0	2,237.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6,618.3	1,580.4	1,686.7	1,819.2	1,936.2

გრაფიკულ სურათზე მოცემულია პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების პროცენტული გადანაწილება 2024 წლისთვის.



2024 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებისთვის განსაზღვრულია 5 028 400 ლარი, რაც მერიისა და საკრებულოს ხარჯებს წარმოადგენს, ასევე აქ შედის ვალის მომსახურება, სარეზერვო ფონდი (სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციოდ).

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5028.4
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4667.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1363.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3234.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	0.0
01 01 04	თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი	35.0
01 01 05	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა	35.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	361.4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	250.0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა	10.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	101.4
01 02 04	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები	0.0